2025 წლის ინდოეთ-პაკისტანის ოთხდღიანი ომი

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.12

საკვანძო სიტყვები: ინდოეთი, პაკისტანი, ქაშმირი, ჯამუ, ბირთვული იარაღი, კონფლიქტი.

21-ე საუკუნის მე-3 ათწლეული კონფლიქტების გამძაფრებისა და სამხედრო დაპირისპირებების სცენარით მიმდინარეობს, რაც გლობალურ ქაოსთან ასოცირდება. ეს პროცესები, სავარაუდოდ, მანამ გაგრძელდება, ვიდრე ახალი მსოფლიო წესრიგი არ ჩამოყალიბდება, თუ იმ დრომდე მიაღწია კაცობრიობამ. საქმე ისაა, რომ ამ დაპირისპირებებს და ომებს განსაკუთრებულ რისკებს სძენს ის ბირთვული იარაღი, რაც დედამიწაზე არსებობს. ამჯერად ბირთვლი საფრთხე გაამძაფრა ინდოეთ-პაკისტანის ტრადიციული დაპირისპირების მორიგმა გამწვავებამ და ეს მხოლოდ რეგიონის პრობლემა არ არის - მსოფლიო სიმშვიდის დარღვევაც შეუძლია.

ინდოეთპაკისტანის ურთიერთობა 1947 წლის «ბრიტანეთის ინდოეთის» გაყოფის შემდეგ დაიწყო. მას შემდეგ, ორი ქვეყანა ოთხჯერ ომობდა: 1947-48, 1965, 1971 და 1999 წლებში. აღსანიშნავია, რომ 1971 წლის ომის დროს, აღმოსავლეთ პაკისტანის - ბანგლადეშის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ინდოეთმა სწორედ აჯანყებულების მხარე დაიჭირა, რის შედეგადაც პაკისტანი ორად გაიყო.

2019 წელს ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის რეგიონში ინდოელ პოლიციელებზე განხორციელდა ტერორისტული აქტი, რასაც 45 პოლიციელი შეეწირა და ინდოეთმაც საპასუხო საჰაერო დარტყმები განახორციელა „ჯაიშ-ე-მუჰამადის“ ტერორისტული დაჯგუფების ბანაკზე, რომელიც პაკისტანის მიერ კონტროლირებად ქაშმირის ნაწილში იყო განთავსებული.

საპასუხოდ პაკისტანის ავიაციამ ქაშმირში ინდოეთის არმიის სამხედრო ობიექტები დაბომბა, რასაც მოჰყვა საჰაერო ორთაბრძოლები ინდოეთისა და პაკისტანის რეაქტიული გამანადგურებლების გამოყენებით.

მაშინ მსოფლიო ძალიან მიუახლოვდა ბირთვული ომის დაწყების საფრთხეს, რადგან ინდოეთსაც და პაკისტანსაც უკვე საკმაოდ ჰქონდათ დაგროვებული იმ რაოდენობის ბირთვული იარაღი, რომელიც სრულიად საკმარისი გახლდათ ამ ორივე სახელმწიფოს გასანადგურებლად და მეზობელ ქვეყნებსაც თან «წაიყოლიებდნენ“, თუმცა იმჟამად ამის თავიდან აცილება მოხერხდა.

კონფლიქტის მთავარი მიზეზი ქაშმირის რეგიონია, რომელსაც ორივე ქვეყანა მთლიანად თავის ნაწილად მიიჩნევს, თუმცა, ამ ეტაპზე ის გაყოფილია სამხრეთ მდებარე, უფრო დიდი ნაწილს - ჯამუ და ქაშმირს აკონტროლებს ინდოეთი, ჩრდილოეთს პაკისტანი, ტერიტორიის მცირე ნაწილზე კი ვრცელდება ჩინეთის კონტროლი, რომელიც პაკისტანის მოკავშირედ მიიჩნევა.

ქაშმირი - ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სადავო ტერიტორია - ჰიმალაის მთებში მდებარე ისტორიული სამთავრო. ეს არის პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი სამხრეთ აზიაში, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა განაპირობებს მის მიმართ ასეთ დიდი ინტერესებს.

ეს უპირველესად არის წყლის რესურსები, სწორედ ქაშმირის ტერიტორიაზე მიედნება მდინარე ინდი[1], რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსაკუთ-რებით პაკისტანისთვის, შესაბამისად, მასზე კონტროლი ინდოეთის დიდ ბერკეტს აძლევს. თუკი დელი მართლაც გადაკეტავს მდინარე ინდს სათავეშივე და პაკისტანისკენ მიმავალ სამ განშტოებაში წყლის დონე მინიმუმამდე დაეცემა, ეს სრულად გაანადგურებს პაკისტანის სოფლის მეურნეობას და მილიონობით პაკისტანელს შიმშილის ზღვარზე დააყენებს...

თავის მხრივ, პაკისტანის მთავრობამ ინდოეთის მოქალაქეებს ვიზები შეუჩერა, დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო მრჩევლები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა, ინდოეთის ავიაკომპანიებისთვის საჰაერო სივრცე დახურა და ინდოეთის მთავრობა გააფრთხილა, რომ მდინარე ინდიდან წყალმომარაგების შეჩერების მცდელობას განიხილავს ომის აქტად, რასაც შესაბამისად უპასუხებს.

ასევე ქაშმირს აქვს სტრატეგიული მდებარეობა, ის განლაგებულია 4 ქვეყნის მიჯნაზე, შესაბამისად, მასზე კონტროლი დიდ გეოპოლიტიკურ ბენეფიტებს ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთსა და პაკისტანს ქაშმირი საკუთარი ეროვული იდეის ნაწილად მიაჩნიათ. ინდოეთისთვის ეს ერთიანი სახელმწიფოს სიმბოლოა, პაკისტანი კი მასზე კონტროლს მუსლიმი მოსახლეობის უფლებების დაცვად განიხილავს.

ინდოეთისა და პაკისტანის ბოლოდროინდელი კრიზისი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ორ ბირთვულ მოწინააღმდეგეს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. 22 აპრილს განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ინდოეთმა 7 მაისს პაკისტანზე სადამსჯელო დარტყმები განახორციელა. ამით 7-10 მაისს ინდოეთსა და პაკისტანს შორის ოთხდღიანი კონფლიქტი დაიწყო, რომელიც ორ მეტოქე ბირთვულ სახელმწიფოს შორის ათწლეულების განმავლობაში ყველაზე სერიოზულ სამხედრო კრიზისად იქცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ინდოეთმა პაკისტანზე ფრთოსანი რაკეტები გამოიყენა, როგორც B BrahMos-ის ფრთოსანი რაკეტა, ასევე ევროპული ASCALP-EG.LPეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პაკისტანმა ინდოეთზე ჩვეულებრივი შეიარაღების მოკლე რადიუსის ბალისტიკური რაკეტები გამოიყენა, Fatah-I და Fatah-II. მიუხედავად იმისა, რომ დრონები მასობრივად გამოიყენებოდა ქაშმირში კონტროლის ხაზის გასწვრივ და ქაშმირის საზღვრებს გარეთ, უნდა აღინიშნოს რომ ეს არის ინდოეთ-პაკისტანის დაპირისპირების პირველი შემთხვევა, როდესაც ორივე მხარემ დრონები გამოიყენა. ომის მსვლელობა პრაქტიკულად გასაიდუმლოებული იყო ორივე მხრიდან მაგრამ ხელმისაწვდომი ინფორმაცია იძლევა რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას.

„მართლმსაჯულება შედგა“ - ამ სიტყვებით ინდოეთმა დაადასტურა პაკისტანზე ბალისტიკური რაკეტებით დარტყმა, ოღონდ ხაზი გაუსვა, რომ საჰაერო დარტყმების სამიზნეები იყო არა პაკისტანის სამხედრო ობიექტები, არამედ ტერორისტული დაჯგუფება «ლაშქარ-ე-თაიბას» საწვრთნელი ბაზები.

ინდოეთის სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება პაკისტანისას - თუკი ინდოეთის თავდაცვის ბიუჯეტი 90 მლრდ დოლარს აღწევს, პაკისტანი სამხედრო მიზნებისთვის მხოლოდ 11 მლრდ დოლარს ხარჯავს. ინდოეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობს 1,45 მლნ სამხედრო და შეუძლია 1,115 მლნ რეზერვისტის მობილიზებაც, პაკისტანს კი ბრძოლის ველზე მხოლოდ 645 ათასი სამხედროს და 550 ათასი რეზერვისტის გაყვანა შეუძლია.

ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების განკარგულებაშია 294 ხომალდი, მათ შორის - ორი ავიამზიდი და 18 წყალქვეშა ნავი (ატომურის ჩათვლით, რომელიც

[1] ინდი მთავარი მდინარეა, რომელიც ტიბეტის მთებში იღებს სათავეს და შემდეგ ექვს ტოტად იყოფა, რომელთაგან სამს პაკისტანი იყენებს და სამს ინდოეთი.

რუსეთს აქვს მიქირავებული), მაშინ როდესაც პაკისტანელი მეზღვაურების არსენალში მხოლოდ 114 ხომალდია, მათგან 8 წყალქვეშა ნავი და არც ერთი ავიამზიდი.

ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალები მოითვლის 2 296 სამხედრო დანიშნულების საფრენ აპარატს, მათ შორის - 606 გამანადგურებელ თვითმფრინავს და 869 შვეულმფრენს, პაკისტანელ მფრინავებს კი შეუძლიათ გამოიყენონ 1 434 საფრენი აპარტი, მათ შორის - 387 გამანადგურებელი და 352 შვეულმფრენი.

ინდოეთის სახმელეთო ჯარების არსენალშია 4 114 ტანკი და 3 243 საარტილერიო დანადგარი, პაკისტანის არმიის შეიარაღებაში კი - 3 742 ტანკი და 3 228 საარტილერიო დანადგარი.

ნათლად ჩანს, რომ არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობითა და ჩვეულებრივი შეიარაღების რაოდენობით ინდოეთი მნიშვნელოვნად ჯაბნის მეზობელ პაკისტანს, თუმცა მათი ბირთვული არსენალები თითქმის უტოლდება ერთმანეთს - ინდოეთს 180-მდე, ხოლო პაკისტანს - 170-ზე მეტი ბირთვული მუხტი აქვს, რაც მათ სტრატეგიულ საბრძოლო შესაძლებლობებს ათანაბრებს, თუკი საქმე სწორედ ბირთვულ დაპირისპირებებამდე მივიდა, ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის

ჩვეულებრივ შეიარაღებასა და არმიების რიცხოვნობაში ინდოეთის თითქმის სამმაგმა უპირატესობამ პაკისტანს შეიძლება, გადაადგმევინოს გადამწყვეტი ნაბიჯი ბირთვული იარაღის პირველად გამოყენებაზე, თუკი ამ ომმა მართლაც ფართო მასშტაბები შეიძინა და ისლამაბადი დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა...

იმედია, საქმე აქამდე არ მივა, თუნდაც სხვა ქვეყნების ჩარევის გამოც, თუმცა უკვე კარგადაა ცნობილი, თუ ვინ ვის უჭერს მხარს - ჩინეთი და თურქეთი პაკისტანის მხარესაა, ისრაელს კი, ტრადიციულად, კარგი ურთიერთობა აქვს ინდოეთთან (თავის მხრივ, იძაბება სიტუაცია თურქეთსა და ისრაელს შორის, სირიის საკითხში). ტრამპის ამერიკა რას მოიმოქმედებს წინასწარ ძნელი განსასაზღვრელია, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონსა და დელის კარგი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა აკავშირებთ და, ამასთან, ტრამპს ჩინეთისთვის „სავაჭრო ომი“ აქვს გამოცხადებული.

ძალზე საინტერესოა სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს მეზობლის - აზერბაიჯანის პოზიცია, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მუდმივად გრძნობდა პაკისტანის მხურვალე მხარდაჭერას - ყარაბაღის კონფლიქტის გამო. ისლამაბადს დღემდე არ უღიარებია სომხეთის დამოუკიდებლობა და ამასთან, ინდოეთი დღეს სომხეთს აიარაღებს, რაც კიდევ უფრო აახლოვებს ბაქოსა და ისლამაბადის პოზიციებს, იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი უკვე უგზავნის შეიარაღებას პაკისტანს.

ინდოეთმა აჩვენა უნარი, განახორციელოს ზუსტი თავდასხმები პაკისტანის შიდა რაიონებში, პრაქტიკულად კონფლიქტის ყოველ დღე ინდოეთის სამხედროები ახერხებდნენ კონფლიქტის ზონის გაფართოებას. განსაკუთრებით ეს ხდებოდა 7 და 10 მაისს, უნდა აღინიშნოს, რომ პაკისტანის საჰაერო თავდაცვამ ჩაჭრა რამოდენიმე სარაკეტო დარტყმები და სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ინდოეთს, ამით პაკისტანმა აჩვენა რომ ის არაფერს დაუთმობდა მის მეზობელს. არ არსებობს მტკიცებულება, რომ რომელიმე პილოტირებული თვითმფრინავი გადაკვეთილა მეორე მხარის საჰაერო სივრცეში, რაც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად აღიქვამდა ორივე მხარე მეორის საჰაერო თავდაცვის საფრთხეს კონფლიქტის ბოლო დღესაც კი.

საომარი მოქმედებების პირველ დღეს, 7 მაისს, ინდოეთმა, სავარაუდოდ, რამდენიმე თვითმფრინავი დაკარგა პაკისტანის კონტრსაჰაერო ოპერაციების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ინდოელმა ოფიციალურმა პირებმა არც აღიარეს და არც უარყვეს დანაკარგები, ისინი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო დანაკარგებს წარმოადგენენ, რაც ინდოეთმა განიცადა ოთხდღიანი კონფლიქტის დროს. 8-დან 10

მაისამდე, ინდოეთის ინტეგრირებულმა საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემამ, როგორც ჩანს, დიდწილად დაამარცხა პაკისტანის დრონების თავდასხმების რამდენიმე ტალღა, რომელთა მასშტაბი და ინტენსივობა ბუნდოვანი იყო. 9-10 მაისს, ინდოეთის საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემამ, როგორც ჩანს, იმუშავა პაკისტანის შეზღუდული, მოკლე რადიუსის ბალისტიკური რაკეტების თავდასხმების წინააღმდეგაც.

7 მაისს ინდური თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, პაკისტანმა პრაქტიკულად არანაირი შესამჩნევი ზიანი არ მიაყენა ინდოეთის სამხედრო ნაწილებს ან ობიექტებს, თუმცა ინდოეთის ოფიციალური პირების თქმით, გარკვეული ზიანი ოთხ ობიექტზე იყო.

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა კვლავ კრიზისებისკენ მიდრეკილია და ეს კრიზისები, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამწვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული იარაღის ორმხრივმა ფლობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ორივე მხარის სიფრთხილე.

კონფლიქტმა უზარმაზარი გლობალური ყურადღება მიიპყრო. ეს არის ერთი ბირთვული სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიაზე საჰაერო ძალის გამოყენების მხოლოდ მეორე შემთხვევა[1].

2025 წლის 22 აპრილს ტერორისტებმა 26 ტურისტი მოკლეს პაჰალგამში, ჯამუსა და ქაშმირის სადავო ტერიტორიის ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიზე. თავდასხმა განსაკუთრებით პროვოკაციული იყო, რადგან მასში აშკარად მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ ჩართული - უზარმაზარი მწვანე ველი, რომელიც ცნობილია ტურისტული დანიშნულების ადგილად - და თვითმხილველთა მრავალი ჩვენებით ტერორისტები ინდუისტი მამაკაცებს ეძებდნენ მოსაკლავად. პაჰალგამზე თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც ინდოეთში ნარენდრა მოდის მთავრობა ცდილობდა ჯამუსა და ქაშმირის საკავშირო ტერიტორიაზე ნორმალური ვიტარების აღდგენას, მას შემდეგ, რაც ნიუ-დელიმ 2019 წლის აგვისტოში ქაშმირის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განახორციელა. ტურისტების მკვლელობით, თავდასხმამ ეჭვქვეშ დააყენა მოდის მთავრობის ქაშმირისსაკითხის მოგვარება და ამავდროულად გაართულა ქაშმირსა და ინდოეთის დანარჩენ ნაწილს შორის უფრო მჭიდრო ინტეგრაციის წახალისების მცდელობები.

2014 წელს მოდის პრემიერ-მინისტრობის დანიშვნის შემდეგ, ქაშმირში ორი თავდასხმა მოხდა მნიშვნელოვანი დანაკარგებით: ერთი ურიში 2016 წელს, რომლის დროსაც 19 ჯარისკაცი დაიღუპა, და მეორე პულვამაში 2019 წელს, რომლის დროსაც 40 ინდოელი დაიღუპა. ორივე თავდასხმამ ინდოეთის სამხედრო რეაგირება გამოიწვია. დამკვირვებლების უმეტესობა, პაჰალგამის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ინდოეთის სამხედრო რეაგირებას ელოდა.

როგორც აშშ-ის ყოფილმა ოფიციალურმა პირმა ჯოშუა უაითმა აღნიშნა, პაკისტანის მებრძოლი და ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერის ხან-გრძლივი ისტორიის გათვალისწინებით, მსოფლიოს მთავრობების უმეტესობა მზად იყო მიეღო ინდოეთის დასკვნა პაკისტანის ბრალეულობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც პაკისტანს თავდასხმისთვის პასუხისმგებელ ჯგუფთან, წინააღმდეგობის ფრონტთან აკავშირებდა, მწირი იყო.

საკითხი დაეწყო თუ არა ინდოეთს ომი თუ არა მეცნიერებისა და პოლიტიკოსების დებატების სფეროდ იქცა ჩვენის აზრით ინდოეთმა რეაგირების სამხედრო ფორმა აირჩია? უნდა აღინიშნოს რომ სამხედრო ესკალაციამდე, ინდოეთმა

[1]. 2019 წელს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი გაცილებით მცირე იყო.

მნიშვნელოვანი დიპლომატიური და ეკონომიკური ნაბიჯები გადადგა თავისი რისხვის გამოსახატავად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 23 აპრილს ინდოეთმა ინდუსის წყლების ხელშეკრულება „შეაჩერა“. მომდევნო დღეს პაკისტანმა მიანიშნა, რომ წყლის გადამისამართების ნებისმიერი მცდელობა ომის აქტად ჩაითვლებოდა.

პაკისტანი და ინდოეთი შეთანხმდნენ, რომ აშშ-ის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება 18 მაისამდე გაახანგრძლივონ. პაკისტანური მედიის თანახმად, ამის შესახებ პაკისტანის ვიცე-პრემიერმა, ისჰაკ დარმა განაცხადა.

სენატის წინაშე გამოსვლისას დარმა, რომელიც ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს ფლობს, განაცხადა, რომ შეთანხმება 14 მაისს, ორი მხარის სამხედრო ოპერაციების გენერალურ დირექტორებს შორის ცხელი ხაზის კონტაქტის დროს მოხდა.

მასშემდეგ,რაცაშშ-მაბირთვულიიარაღისმქონექვეყნებსშორისცეცხლისშეწყვეტას მიაღწია, პაკისტანის სამხედრო ოპერაციების გენერალურმა დირექტორმა, გენერალ-მაიორმა კაშიფ აბდულამ და მისმა ინდოელმა კოლეგამ, გენერალ-ლეიტენანტმა რაჯივ გაიმ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი ცხელი ხაზის მეშვეობით 10 მაისს გამართეს. მხარეებს შორის დიალოგის შედეგად ცეცხლის შეწყვეტა თავდაპირველად – 12 მაისამდე, შემდეგ კი 14 მაისამდე გახანგრძლივდა.

ეს ანგარიშგების პრობლემები 10 მაისის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ გაუმჯობესდა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მას შემდეგ, რაც ნიუ-დელიმ და ისლამაბადმა გამარჯვება გამოაცხადეს, ორივე მხარის ნაციონალისტები კვლავ აგრძელებენ საკუთარი მხარის პრობლემების დამალვას, საზღვრის გასწვრივ წარუმატებლობის ძიებას. სამხედრო ესკალაცია მალევე დასრულდა მაგრამ საფრთხე მაინც ძალიან მაღალია, ვიმედოვნოთ რომ ინდოეთი და პაკისტანი დიპლომატიურ არ¬ხე¬ბს გაძლიერებენ და საკითხებს მშვიდობიანი გზით მოაგვარებენ.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.ambebi.ge/article/326145-birtvuli-saprtxis-axali-kera-indoet-pakistanis-d/
2. Vijaita Singh, “Pahalgam terror attack: Terrorists asked name and religion of male tourists, shot them, says survivor,” The Hindu, April 24, 2025, https://www.thehindu.com/news/national/terrorists-kept-firing-for-25-30-minutes-recalls-pahalgam-eyewitness/article69483296.ece.
3. https://kvirispalitra.ge/article/131665-indoet-pakistanis-omi-daicqo-visi-jari-uprozlieria-da-miva-tu-ara-sakme-msoplio-masshtabis-katastropamde/
4. Christopher Clary, “Why the Kashmir Attack Could Start Another India-Pakistan Crisis,” South Asian Voices, April 24, 2025, https://southasianvoices.org/sec-m-oth-r-the-resistance-front-kashmir-4-24-2025/.
5. Joshua T. White, “Lessons for the Next India-Pakistan War,” Brookings Institution, May 14, 2025, https://www.brookings.edu/articles/lessons-for-the-next-india-pakistan-war/; Ministry of External Affairs, Government of India, “Statement by Foreign Secretary: OPERATION SINDOOR,” May 7, 2025, https://www.mea.gov.in/Speeches-Statements.htm?dtl/39473.
6. Ministry of External Affairs, Government of India, “Transcript of Special Briefing by MEA (April 23, 2025),” April 23, 2025, https://www.mea.gov.in/media-briefings.htm?dtl/39443/Transcript_of_Special_briefing_by_MEA_April_23_2025

7. Prime Minister's Office, Government of Pakistan. "Prime Minister Muhammad Shehbaz Sharif chaired a meeting of the National Security Committee (NSC)," April 24, 2025, https://www.pmo.gov.pk/press_release_detailes.php?pr_id=6034

FOUR-DAY WAR BETWEEN INDIA AND PAKISTAN IN 2025

Marina Izoria
Sokhumi Stadte University

Summari

The current round of the conflict began on April 22, 2025, in Pahalgam (Indian Kashmir), where a terrorist attack took place, killing 26 people, mostly Indian tourists. The Resistance Front, an organization linked to the Pakistani group Lashkar-e-Taiba, claimed responsibility for the attack. India accused Pakistan of supporting terrorists and on May 6, 2025, launched missile strikes on nine targets in Pakistan, including parts of Muzaffarabad and Punjab. Pakistan denied the accusations, calling them unsubstantiated, and announced its readiness to retaliate, while calling for de-escalation.

Indian media and officials have stressed the need for decisive action against terrorism. Indian Defense Minister Rajnath Singh has said that Pakistan is involved in terrorist attacks in India and refuses to close militant training camps operating on its territory. Prime Minister Narendra Modi has stressed that all disputes can be resolved through bilateral talks in an atmosphere free of terror and violence.

Pakistani media and officials have been emphasizing the need for a peaceful resolution to the conflict. Pakistani Prime Minister Shahbaz Sharif has expressed his readiness to begin talks with India on normalizing bilateral relations, stressing that war is not a means to resolve disputes between the countries. However, he also said that until India stops its actions in Kashmir, a just and lasting peace will remain elusive.

Keywords: India, Pakistan, Kashmir, Jamu, Conflicts,